ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N63

ქ. ქუთაისი 20 აგვისტო 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე სირბილაძის სახით და მეორე მხრივ, შპს მაიპისი (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის ნატალია ქვარიანის მინდობილი პირის მარინა ბუცხრიკიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე 3 მუხლის ,,ს[1]'' პუნქტისა და მიმწოდებლის წინადადების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანი: „სახელმწიფო ენის სწავლება უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის“ პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV22800000 – 94,7 ლარი, CPV30100000 – 578,29 ლარი, CPV39200000 – 6 ლარი.

2.3 ფასების ცხრილი:

დასახელება	რაოდენობა	განზომილება	ერთ. ღირებულება	ღირებულება	CPV
ბლოკნოტი ყოველდღიური	2	ცალი	8	16	22816100
რვეული	102	ცალი	0.6	61.2	22830000
ფაილი	7	შეკვრა	2.5	17.5	22852100
			ჯამი:	**94.7**	
კატრიჯი (პრინტერი canon f158200)	8	ცალი	14	112	30125100
საკანცელარიო დანა	2	ცალი	0.45	0.9	30192000
საშლელი	4	ცალი	0.15	0.6	30192100
კალამი ბურთულიანი	102	ცალი	0.3	30.6	30192123
დაფის მარკერი (12 ცალიანი შეკვრა)	21	შეკვრა	6	126	30192125
პერმანენტული მარკერი (12 ცალიანი შეკვრა)	21	შეკვრა	5.4	113.4	30192125
ტექსტ მარკერი	4	ცალი	0.5	2	30192125
ფანქარი	102	ცალი	0.12	12.24	30192130
ფანქრის სათლელი	2	ცალი	0.7	1.4	30192133
ქაღალდის სკოჩი	2	ცალი	2	4	30192700
დაფის საწმენდი	4	ცალი	1.1	4.4	30195700
დაფის მაგნიტური სამაგრები	2	შეკვრა	1.25	2.5	30195800
სწრაფჩამკერი ცელოფნით	7	ცალი	0.5	3.5	30197200
ბაინდერი	7	ცალი	2.5	17.5	30197210
ანტისტეპლერი	2	ცალი	0.65	1.3	30197321
ფლიფჩარტის ქაღალდი A1 20-25 ფურცლიანი	21	ცალი	6.5	136.5	30197621
სტიკერი	21	შეკვრა	0.45	9.45	30199400
			ჯამი:	**578.29**	
მაკრატელი	2	ცალი	3	6	39241200
			ჯამი:	**6**	
			სულ ჯამი:	**678.99**	

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **678,99 (ექვსასსამოცდათვრამეტი ლარი და 99 თეთრი)** ლარს.

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ ფასების ცხრილში.

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებული დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება: არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: 2019 წლის საკუთარი ხარჯები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის აქტი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესყიდვების სპეციალისტი ირაკლი პაპავა.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ქუთაისი ნიკეას №13

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს მიწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისიწნებულ პირობებთან შესაბამისობას და მიღებულ შედეგებს ადასტურებს შესაბამისი აქტით.

8.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებლ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ლოჯისტიკის სპეციალისტი დავით ავალიანი, მის მიერ მოვალეობის არ შესრულების შემთხვევაში სკოლის ანალიტიკოსი სოსო ქუტათელაძე.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით,.

9.2 შემსწიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 9.1 და 9.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის ამ მუხლის 9.1 და 9.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

9.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. გარანტია

10.1 შემსყიდველისათვის მიწოდებულმა საქონელმა ექსპლუატაციაში შესვლის მომენტში არ უნდა გამოავლინოს დეფექტი და ნაკლი.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მხრიდან საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა იგივე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ახალი საქონლით, ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

12.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

12.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა
გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო
ნომერი 212852055
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. 431 23 26 00.
მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში, ქ.თბილისი
,,სახელმწიფო ხაზინა";ბანკის
კოდი: TERESEGE22
დირექტორის მ.შ: კონსტანტინე სირბილაძე

„მიმწოდებელი"

შპს მაიპისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 412694071
მისამართი: ქ.ქუთაისი ს. ისიანის ქ. N9
ბანკის დასახელება: სს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი: GE23PC0213600100015506
ტელეფონი +99514964466
ელ ფოსტა: mypc.mypc@mail.ru

დირექტორის მინდობილი პირი: მარინა ბუცხრიკიძე